

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია



საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია

**სავალდებულო გენდერული კვობა
საპარლამენტო არჩევნებისას
ევროკავშირის წევრ ქვეყნებში**

თბილისი
2019

კვლევის განხორციელება შესაძლებელი გახდა პროექტის - „თავისუფალი, სამართლიანი და თანასწორი საარჩევნო-პოლიტიკური ციკლი 2019-2022 წლებში“ ფარგლებში. პროექტი მხარდაჭერილია ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ. გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას და, შესაძლოა, არ გამოხატავდეს დონორი ორგანიზაციის შეხედულებებს.



კვლევის ავტორი: ლელა ტალიშვი

რედაქტორი: ხათუნა ყვირაღაშვილი

ტექ. რედაქტორი: ირაკლი სვანიძე

კვლევის ხელმძღვანელი: ვახუშტი მენაბდე

აიწყო და დაკაბადონდა
საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში.
ჯ. კახიძის ქ.15 თბილისი 0102 საქართველო
(+995 32) 295 23 53, 293 61 01

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, ასოციაციის წერილობითი ნებართვის გარეშე

© 2019, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

შესავალი

დღესდღეობით ქალები მსოფლიოში პარლამენტის წევრთა დაახლოებით 20%-ს შეადგენენ. ამ დაბალი მაჩვენებლის გათვალისწინებით, აუცილებელია, რომ გენდერული ბალანსის მისაღწევად სახელმწიფოებმა უფრო ეფექტიანი ნაბიჯები გადადგან. ქალების პოლიტიკური წარმომადგენლობის უზრუნველყოფის ერთ-ერთ მექანიზმად სავალდებულო საარჩევნო კვოტა მოიაზრება.¹ ამ ღონისძიებას აქვს გადამწყვეტი, გრძელვადიანი და მდგრადი პოზიტიური გავლენა ქალი კანდიდატებისა და არჩეული ქალების რიცხვის გასაზრდელად.² დღესდღეობით ის მსოფლიოს 100-ზე მეტ ქვეყანაში გამოიყენება.³

კვოტის დაწესებით, შესაძლებელია, დასრულდეს ქალების დაბალი წარმომადგენლობა წამყვან თანამდებობებზე და მათ მიერ მენეჯერული პოზიციების დაკავება პოლიტიკურ, ეკონომიკურ და აკადემიურ სფეროებში ყოველდღიური პრაქტიკის ნაწილი გახდეს.⁴ ამ ინსტრუმენტს შეუძლია, შეცვალოს მხოლოდ კაცების მიერ გადაწყვეტილების მიღების პრაქტიკა და შესაბამის პოზიციებზე კვალიფიციური ქალების დასახელება უზრუნველყოს.⁵ ის ეფექტიანი მექანიზმია უთანასწორობის სწრაფად აღმოსაფხვრელად.

ამ ხედვის საპირისპიროდ, „მზარდი კურსის პოლიტიკა“ მიიჩნევა, რომ განვითარების პროცესი მიმდინარეობს ეტაპობრივად

¹ Freidenvall L., Dahlerup D. Johansson E., Electoral Gender Quotas and Their Implementation in Europe, European Parliament, Directorate-General for International Policies, Policy Department, Citizens' Rights and Constitutional Affairs, Gender Equality, Update 2013, p. 5, ხელმისაწვდომია: [http://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/note/join/2013/493011/IPOL-FEMM_NT\(2013\)493011_EN.pdf](http://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/note/join/2013/493011/IPOL-FEMM_NT(2013)493011_EN.pdf), განახლებულია: 06.09.2019.

² Dahlerup D., Antic Gaber M., Gender Quotas in Politics in Central East Europe, The Legitimacy and Effectiveness of Gender Quotas in Politics in CE Europe, p. 315, ხელმისაწვდომია: https://www.fdv.uni-lj.si/docs/default-source/tip/tip_02_2017_dahlerup_gaber.pdf?sfvrsn=2, განახლებულია: 06.09.2019.

³ Freidenvall L., Dahlerup D. Johansson E., p. 6.

⁴ Turan G., Why Quotas Work for Gender Equality. OECD, ხელმისაწვდომია: http://oecdobserver.org/news/fullstory.php/aid/4891/Why_quotas_work_for_gender_equality.html, განახლებულია: 06.09.2019.

⁵ Dahlerup D., Antic Gaber M., p.315.

და, შესაბამისად, გენდერული თანასწორობაც თავისთავად, თანდათანობით დამყარდება.⁶

არსებობს 3 სახის კვოტა:⁷

ნებაყოფლობითი კვოტა (იგივე პარტიული კვოტა⁸) - როცა პარტიები სიებში გენდერულ კვოტას ნებაყოფლობით ითვალისწინებენ;

სავალდებულო კვოტა (იგივე საკანონმდებლო კვოტა⁹) - როცა კონსტიტუცია ან კანონი პარტიებს ავალდებულებს, საარჩევნო სიების შედგენისას დაიცვან გენდერული ბალანსი;

რეზერვირებული (შენახული) ადგილების კვოტა - ზოგიერთ ქვეყანაში საპარლამენტო ადგილების გარკვეული რაოდენობა დარეზერვებულია ქალებისთვის და ეს ადგილები არ შეიძლება სადავო გახადონ კაცებმა.¹⁰ ეს მეთოდი ხშირად გამოიყენება აფრიკასა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში.¹¹

სავალდებულო და ნებაყოფლობითმა კვოტირებამ შეიძლება, მოიცვას კანდიდატების შერჩევის 3 საფეხურიდან ნებისმიერი: ასპირანტები, კანდიდატები და არჩეული წარმომადგენლები.

პოლიტიკაში ქალთა წარმომადგენლობის გაუმჯობესებისთვის მნიშვნელოვანია ორი ფაქტორი: (1) საარჩევნო სისტემა; (2) პოლიტიკური პარტიების მზაობა, შეცვალონ არსებული არასახარბიელო ვითარება.¹²

აღსანიშნავია, რომ არსებობს კვოტირების განსხვავებული მო-

⁶ Ibid, p.310.

⁷ Ibid, p.310.

⁸ Ibid.

⁹ Freidenvall L., Dahlerup D. Johansson E., p. 6.

¹⁰ Ibid, p. 6.

¹¹ Dahlerup D., Hilal Z., Kalandadze N., Kandawasvika-Nhundu R., Atlas of Electoral Gender Quotas, IDEA, Inter Parliamentary Union, Stockholm University, 2013, p. 25-26. ხელმისაწვდომია: <https://www.idea.int/sites/default/files/publications/atlas-of-electoral-gender-quotas.pdf>, განახლებულია: 10.09.2019.

¹² Dahlerup D., Antic Gaber M., p.312.

დელები. ინსტიტუციური კონტექსტის გათვალისწინების გარეშე მას შეიძლება მხოლოდ სიმბოლური დატვირთვა ჰქონდეს და ქალთა მონაწილეობაზე რეალური გავლენა ვერ მოახდინოს.¹³ მაგალითად, სხვადასხვა საარჩევნო სისტემის პირობებში კვოტა განსხვავებულად მოქმედებს. ის ადვილად ერგება ხმების მანდატებში გარდასახვის პროპორციულ წესს (PR).¹⁴ იმ ქვეყნების უმეტესობაში, სადაც მათალია ქალთა მონაწილეობა, სწორედ ასეთი საარჩევნო სისტემა აქვთ.¹⁵ აქ ეს მაჩვენებელი დაახლოებით ორჯერ აღემატება იმ სახელმწიფოების მონაცემებს, რომლებიც მაჟორიტარიზმს იყენებენ.¹⁶

მეტი ქალის არჩევისა და კვოტირების ეფექტიანობისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია საარჩევნო სიაში კანდიდატთა ადგილების გადანაწილების წესის დაცვა. როგორც სავალდებულო, ისე პარტიული კვოტირებისას კვოტის დებულებები უნდა მოიცავდეს წესებს საარჩევნო სიაში კანდიდატების განლაგების („გამსვლელი ადგილების“) შესახებ, რათა მდებარეობითი სქესის კანდიდატები არ მოხვდნენ სიის ბოლოში. კვოტის სისტემამ, რომელიც ამ საკითხს არ ითვალისწინებს, შეიძლება, საერთოდ ვერ აღმოფხვრას ქალთა წარმომადგენლობის პრობლემა.¹⁷

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხია სამართლებრივი სანქციები სავალდებულო კვოტირების მოთხოვნების შეუსრულებლობისას.¹⁸ კვლევები აჩვენებს, რომ საარჩევნო კომისიების უარი საარჩევნო სიების რეგისტრაციაზე არის ყველაზე ეფექტიანი გზა იმ შემთხვევაში, თუ საარჩევნო სია კანონის ამ მოთხოვნას არ აკმაყოფილებს.¹⁹

¹³ Dahlerup D., Quotas, IDEA, ხელმისაწვდომია: <https://www.idea.int/data-tools/data/gender-quotas/quotas>. განახლებულია: 06.09.2019.

¹⁴ Ibid.

¹⁵ Freidenvall L., Dahlerup D. Johansson E., p. 9.

¹⁶ Ibid.

¹⁷ Ibid, p. 14.

¹⁸ Dahlerup D.

¹⁹ Dahlerup D., Antic Gaber M., p.311.

ევროკავშირის 28 ქვეყნიდან²⁰ 10 იყენებს სავალდებულო კვოტირებას უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს დაკომპლექტებისას: ბელგია, ესპანეთი, სლოვენია, პოლონეთი, ხორვატია, საბერძნეთი, ირლანდია, საფრანგეთი, იტალია და პორტუგალია.²¹

აქედან პირველი 6 ასევე იყენებს ერთიან პროპორციულ საარჩევნო სისტემას (List PR).

პარტიული კვოტირება მოქმედებს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებიდან შემდეგ 13 ქვეყანაში: დიდი ბრიტანეთი, შვედეთი, სლოვაკეთი, რუმინეთი, ნიდერლანდები, მალტა, ლიტვა, გერმანია, ჩეხეთი, ავსტრია, ლუქსემბურგი, კვიპროსი, უნგრეთი.²² ვინაიდან პარტიული კვოტირება ნებაყოფლობითია, მისი ეფექტის შესწავლისთვის ფოკუსი ინდივიდუალურ პარტიებზე უნდა გაკეთდეს.²³

ევროკავშირის წევრ 5 ქვეყანაში არცერთი სახის კვოტირება არ მოქმედებს: ესტონეთი, დანია, ფინეთი, ლატვია, ბულგარეთი.²⁴ მათი მონაცემები ქალთა წარმომადგენლობის თვალსაზრისით ასეთია: ფინეთი 42.5% (2011 წლის არჩევნები), დანია 39.1% (2011), ლატვია 23.0% (2011), ბულგარეთი 22.9% (2009), ესტონეთი 20.8% (2011).²⁵ დანიასა და ფინეთში, კვოტირების გარეშე, ისტორიულად მაღალია ქალთა წარმომადგენლობა პოლიტიკაში.²⁶ თუმცა, ახალი დემოკრატიის ქვეყნებში (ლატვიაში, ბულგარეთსა და ესტონეთში) ამ კუთხით ვითარება არსებითად პრობლემურია.

წარმოდგენილ დოკუმენტში ყურადღება გამახვილებულია

²⁰ ევროკავშირის წევრი ქვეყნებია: ავსტრია, ბელგია, ბულგარეთი, ხორვატია, კვიპროსი, ჩეხეთი, დანია, ესტონეთი, ფინეთი, საფრანგეთი, გერმანია, საბერძნეთი, უნგრეთი, ირლანდია, იტალია, ლატვია, ლიტვა, ლუქსემბურგი, მალტა, ნიდერლანდები, პოლონეთი, პორტუგალია, რუმინეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, ესპანეთი, შვედეთი და დიდი ბრიტანეთი.

²¹ Freidenvall L., Dahlerup D. Johansson E., p. 15. Table 4.

²² Ibid.

²³ Ibid, p. 13.

²⁴ Ibid.

²⁵ Ibid, p. 7.

²⁶ Ibid. p. 11.

ევროკავშირის წევრ იმ ქვეყნებზე, სადაც საკანონმდებლო ორგანოს არჩევნებისას ეროვნულ დონეზე²⁷ იყენებენ სავალდებულო გენდერულ კვოტირებას.

ირლანდია

ირლანდიის ქვედა, თემათა პალატაში 2012 წლიდან მოქმედებს 30%-იანი სავალდებულო კვოტირება.²⁸

2016 წლის საპარლამენტო არჩევნებზე გენდერული კვოტირების ამოქმედებამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ქალთა მონაწილეობა, კერძოდ, 551 კანდიდატიდან 163 იყო ქალი (29.6%). ეს ეს გაზღდათ ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ქვეყნის ისტორიაში. 2011 წელთან შედარებით, 90%-ით გაიზარდა არჩევნებში მონაწილე ქალი კანდიდატების რიცხვი.²⁹ ამ წელს მათ პირველი პრეფერენციული ხმების თითქმის 25% აიღეს, მაშინ, როდესაც წინა არჩევნებზე ეს მაჩვენებელი მხოლოდ 16%-ს შეადგენდა.³⁰

სანქცია: თუ კვალიფიციური პარტიების სიებში თითოეული სქესის კანდიდატების რაოდენობა 30%-ზე ნაკლებია, პოლიტიკური პარტიები კარგავენ სახელმწიფო დაფინანსების 50%-ს.³¹

საარჩევნო სიაში კანდიდატთა რიგითობის წესი: საარჩევნო სიაში კანდიდატთა რიგითობის წესი დადგენილი არ არის.

საარჩევნო სისტემა: STV (Single Transferable Vote) ერთი გადაცემადი ხმა.³²

²⁷ წინამდებარე დოკუმენტში ქვეყანაში ორპალატიანი პარლამენტის არსებობის შემთხვევაში ქვედა პალატის არჩევის წესია განხილული.

²⁸ Freidenvall L., Dahlerup D. Johansson E., p. 15.

²⁹ Buckley F., The 2016 Irish Election demonstrated how gender quotas can shift the balance on female representation, The London School of Economics and Political Science, ხელმისაწვდომია: <https://blogs.lse.ac.uk/europpblog/2016/03/16/the-2016-irish-election-demonstrated-how-gender-quotas-can-shift-the-balance-on-female-representation/>, განახლებულია: 27.09.2019

³⁰ Ibid.

³¹ Ibid. p. 15.

³² IDEA, COUNTRY DATA EXPLORE QUOTA DATA, Ireland (Ireland), ხელმისაწვდომია: <https://www.idea.int/data-tools/data/gender-quotas/country-view/143/35>, განახლებულია: 03.12.2019.

პოლონეთი

პოლონეთში 2011 წლიდან მოქმედებს 35%-იანი სავალდებულო კვოტირება.³³

აღნიშნული წესი ვრცელდება ქვედა პალატასა (სეიმი) და ადგილობრივ არჩევნებზე. ქვედა პალატის შემთხვევაში: „ქალების რაოდენობა არ უნდა იყოს სიაში არსებული კანდიდატების 35%-ზე ნაკლები. ასევე, კაცი კანდიდატების რაოდენობა არ უნდა იყოს სიაში არსებული კანდიდატების 35%-ზე ნაკლები“.³⁴

საწყისი: თუ სია არ აკმაყოფილებს კვოტირების მოთხოვნას, საარჩევნო კომიტეტი ატყობინებს უფლებამოსილ პირს 3 დღის ვადაში სიის შესწორების შესახებ. პარტიის მიერ სათანადოდ სტრუქტურირებული სიის წარუდგენლობის შემთხვევაში მას რეგისტრაციაზე უარს ეუბნებიან.³⁵

საარჩევნო სიაში კანდიდატთა რიგითობის წესი: ყოველ სამ კანდიდატში ერთი მაინც უნდა იყოს ქალი.³⁶

პოლონეთის საარჩევნო სისტემა: ერთიანი პროპორციული საარჩევნო სისტემა (List PR).³⁷

ბელგია

ბელგიაში 2002 წლიდან მოქმედებს 50%-იანი კვოტა.

სავალდებულო კვოტირების მოთხოვნა ვრცელდება პარლამენტის ორივე პალატაზე, ასევე, ადგილობრივ არჩევნებზე.³⁸ ბოლო 15 წლის განმავლობაში ბელგიამ ამ მიმართულებით ამბიციური

³³ Freidenvall L., Dahlerup D. Johansson E., p. 15, Table 4.

³⁴ IDEA, COUNTRY DATA, Poland (Republic of Poland), ხელმისაწვდომია: <https://www.idea.int/data-tools/data/gender-quotas/country-view/242/35>, განახლებულია: 03.12.2019.

³⁵ Freidenvall L., Dahlerup D. Johansson E., p. 15, Table 4.

³⁶ Ibid.

³⁷ Ibid.

³⁸ IDEA, COUNTRY DATA, Belgium (Kingdom of Belgium), ხელმისაწვდომია: <https://www.idea.int/data-tools/data/gender-quotas/country-view/60/35>, განახლებულია: 03.12.2019.

რეფორმები განახორციელა. 1999 წელს პირველად ტობაკ-სმეტის აქტით (Tobback - Smet Act) გაიზარდა წარმომადგენელთა პალატაში ქალი წევრების პროპორცია 16%-დან 25%-მდე. ამ დოკუმენტის მიხედვით, პოლიტიკური პარტიები ვალდებული იყვნენ, საკუთარი საარჩევნო სიების სულ მცირე 1/3 ქალი წევრებით დაეკომპლექტებინათ.³⁹ 2007 წელს, უფრო მკაცრი გენდერული კვოტირების კანონმდებლობის იმპლემენტაციის შემდეგ, ქვედა პალატაში ქალთა მონაწილეობის მაჩვენებელმა 38%-ს მიაღწია. ახალი წესი ადგენს, რომ წარმომადგენელთა პალატაში (ქვედა პალატა) ერთიან სიაში ქალებისა და კაცების წარმომადგენლობა განისაზღვროს 50-50%-ით - ორი კანდიდატიდან ერთი უნდა მიეკუთვნებოდეს განსხვავებულ სქესს.⁴⁰

საარჩევნო სიაში კანდიდატთა რიგითობის წესი: ბელგიაში მოქმედებს „ორმაგი კვოტირების“ კონცეფცია, ანუ კვოტირების სისტემა, რომელიც არა მხოლოდ მოითხოვს კონკრეტულ პროცენტს ქალი კანდიდატებისთვის საარჩევნო სიაში, არამედ უზრუნველყოფს, რომ მდებარეობითი სქესის კანდიდატები სიის ბოლოში არ ჩასვან.⁴¹ ახალი წესების თანახმად, კანდიდატთა სიაში განსხვავება თითოეული სქესის რაოდენობას შორის არ უნდა აღემატებოდეს 1-ს. უფრო მეტიც, პირველი ორი კანდიდატი სიაში განსხვავებული სქესის უნდა იყოს. ცვლილებებმა შედეგი გამოიღო.⁴²

სანქცია: თუ პარტია ვერ აკმაყოფილებს გენდერულ კომპოზიციას, საარჩევნო ადმინისტრაცია უარს ამბობს საარჩევნო სიის რეგისტრაციაზე.⁴³

საარჩევნო სისტემა: ერთიანი პროპორციული საარჩევნო სისტემა (List PR).⁴⁴

³⁹ Turan G.

⁴⁰ Freidenvall L., Dahlerup D. Johansson E., p. 15, Table 4.

⁴¹ Dahlerup D.

⁴² Turan G.

⁴³ Freidenvall L., Dahlerup D. Johansson E., p. 15, Table 4.

⁴⁴ Ibid.

საფრანგეთი

საფრანგეთის ქვედა პალატაში, ეროვნულ ასამბლეაში 2000 წლიდან მოქმედებს 50%-იანი კვოტა.

საფრანგეთი იყო მსოფლიოში პირველი ქვეყანა, რომელმაც სა-ვალდებულო 50%-იანი გენდერული პარიტეტის დებულება შემოიღო.⁴⁵ პირველი მნიშვნელოვანი შედეგი ამ ღონისძიებამ 2007 წელს მოიტანა, როდესაც ქალების რიცხვი პარლამენტში 18.5%-მდე გაიზარდა.⁴⁶

დეპუტატები აირჩვიან ერთმანდატიან 577 ოლქში ორტურიანი მაჟორიტარული სისტემით.⁴⁷ განსხვავება თითოეული სქესის კანდიდატებს შორის, რომლებსაც პარტიები წარადგენენ ერთმანდატიან ოლქებში, არ შეიძლება იყოს 2%-ზე მეტი.⁴⁸

საწყევები: ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში პოლიტიკურ გაერთიანებებს გარკვეული პროცენტით უმცირდებათ სახელმწიფო დაფინანსება (რომელსაც ისინი პირველ ტურში მოპოვებული ხმების მიხედვით იღებენ). ეს პროცენტი შეადგენს თითოეული სქესის კანდიდატების მთლიან რაოდენობას შორის სხვაობის ¼-ს.⁴⁹ მაგალითად, თუ ქალები მხოლოდ 40%-ით არიან წარმოდგენილი სიაში და კაცები 60%-ით, განსხვავება ქალ და კაც კანდიდატებს შორის არის 20%. შესაბამისად, სახელმწიფო დაფინანსება შემცირდება 20%-ის ¼-ით, ანუ 15%-ით.⁵⁰

საარჩევნო სისტემა: ორტურიანი მაჟორიტარული სისტემა ერთმანდატიან ოლქებში (TRS - Two Round System).⁵¹

⁴⁵ IDEA, COUNTRY DATA, France (French Republic), ხელმისაწვდომია: <https://www.idea.int/data-tools/data/gender-quotas/country-view/86/35>, განახლებულია: 03.12.2019.

⁴⁶ Ibid.

⁴⁷ Ibid.

⁴⁸ Ibid.

⁴⁹ Freidenvall L., Dahlerup D. Johansson E., p. 15, Table 4.

⁵⁰ IDEA, COUNTRY DATA, France (French Republic).

⁵¹ Ibid.

საბერძნეთი

საბერძნეთში 2012 წლიდან მოქმედებს 33%-იანი კვოტა.⁵²

კონსტიტუციის თანახმად, „პოზიტიური ზომების მიღება ქალებსა და კაცებს შორის თანასწორობის ხელშეწყობის მიზნით არ წარმოადგენს სქესის საფუძველზე დისკრიმინაციას. სახელმწიფომ უნდა მიიღოს ზომები არსებული უთანასწორობის აღმოსაფხვრელად, კონკრეტულად კი, ქალებთან დაკავშირებით“.⁵³

პოლიტიკური პარტიების კანდიდატთა ორივე (ეროვნულ და ოლქის დონეზე) სიაში, სულ მცირე, 1/3 უნდა დაეთმოს თითოეული სქესის წარმომადგენელს. მაგალითად, საარჩევნო ოლქში, სადაც პარლამენტის 10 დეპუტატი აირჩევა, 3 დეპუტატი მაინც უნდა იყოს ქალი ან კაცი ($10/3=3.33$).⁵⁴

საარჩევნო სიაში კანდიდატთა რიგითობის წესი: არ არის გათვალისწინებული.

სანქცია: არ არის გათვალისწინებული.

საბერძნეთის საარჩევნო სისტემა: ერთიანი პროპორციული სისტემა (List PR).⁵⁵

პორტუგალია

პორტუგალიაში 2006 წლიდან მოქმედებს კვოტირება - 33%.

რესპუბლიკის ასამბლეის არჩევნებისას კანდიდატთა სია უნდა შედგეს იმგვარად, რომ ხელი შეუწყოს მინიმუმ ერთი სქესის წარმომადგენელთა 33%-ით მონაწილეობას.⁵⁶

⁵² Freidenvall L., Dahlerup D. Johansson E., p. 15, Table 4.

⁵³ IDEA, COUNTRY DATA, Greece (Hellenic Republic), ხელმისაწვდომია: <https://www.idea.int/data-tools/data/gender-quotas/country-view/139/35>, განახლებულია: 03.12.2019.

⁵⁴ Ibid.

⁵⁵ Ibid.

⁵⁶ IDEA, COUNTRY DATA, Portugal (Portuguese Republic), ხელმისაწვდომია: <https://www.idea.int/data-tools/data/gender-quotas/country-view/247/35>, განახლებულია: 03.12.2019.

საარჩევნო სიაში კანდიდატთა რიგითობის წესი: მრავალწევრიან საარჩევნო ოლქებში არ შეიძლება ერთმანეთის მიყოლებით 2-ზე მეტი ერთი და იმავე სქესის კანდიდატის წარდგენა, ანუ საარჩევნო სიაში ყოველი მესამე განსხვავებული სქესის წარმომადგენელი უნდა იყოს.⁵⁷

სანქცია: თუ საარჩევნო სია არ აკმაყოფილებს კვოტის მოთხოვნას, ეს ხარვეზი გასაჯაროვდება. ასევე, გამოიყენება ფინანსური სანქციები სახელმწიფო დაფინანსების შემცირების სახით.⁵⁸

საარჩევნო სისტემა: ერთიანი პროპორციული საარჩევნო სისტემა (List PR).⁵⁹

სლოვენია

სლოვენიის ქვედა პალატაში, ეროვნულ ასამბლეაში 2006 წლიდან მოქმედებს 35%-იანი სავალდებულო კვოტირება.⁶⁰

საარჩევნო კანონის მიხედვით, ერთი სქესის წარმომადგენელი საარჩევნო სიაში არ უნდა იყოს კანდიდატთა 35%-ზე ნაკლები.⁶¹

საარჩევნო სიაში კანდიდატთა რიგითობის წესი: არ არის განსაზღვრული.

სანქცია: თუ სია არ აკმაყოფილებს ამ მოთხოვნას, საარჩევნო კომისია უარს ამბობს საარჩევნო სიის რეგისტრაციაზე.⁶²

საარჩევნო სისტემა: ერთიანი პროპორციული საარჩევნო სისტემა (List PR).⁶³

⁵⁷ Ibid.

⁵⁸ Freidenvall L., Dahlerup D. Johansson E., p. 15, Table 4.

⁵⁹ Ibid.

⁶⁰ Ibid.

⁶¹ Ibid.

⁶² IDEA, COUNTRY DATA, Slovenia (Republic of Slovenia), ხელმისაწვდომია: <https://www.idea.int/data-tools/data/gender-quotas/country-view/264/35>, განახლებულია: 03.12.2019.

⁶³ Freidenvall L., Dahlerup D. Johansson E., p. 7, Table 1.

ესპანეთი

ესპანეთში მოქმედებს 40%-იანი კვოტა.

კანონი პირველად 2008 წლის მარტში ამოქმედდა.⁶⁴ კვოტირების წესის მიხედვით, დეპუტატების კონგრესის არჩევნებში (ქვედა პალატა) პარტიის საარჩევნო სიაში ერთი სქესის წარმომადგენელთა რაოდენობა არ უნდა იყოს 40%-ზე ნაკლები და 60%-ზე მეტი.⁶⁵ ეს პრინციპი ასევე ვრცელდება რეგიონულ და ადგილობრივ არჩევნებზე.⁶⁶

საარჩევნო სიაში კანდიდატთა რიგითობის წესი: გენდერული კვოტა ვრცელდება ყოველ ხუთ პოზიციაზე,⁶⁷ რაც იმას ნიშნავს, რომ ყოველ 5 კანდიდატში 2 მაინც უნდა იყოს ქალი (Quotas are both applied to the whole party lists and to every five posts).

სანქცია: თუ სია არ აკმაყოფილებს კვოტის მოთხოვნას, პოლიტიკურ გაერთიანებას ეძლევა ხარვეზის გამოსწორების შესაძლებლობა. თუ პარტია ამ პირობას არ შეასრულებს, საარჩევნო კომისია სიას არ დაარეგისტრირებს.⁶⁸

საარჩევნო სისტემა: ერთიანი პროპორციული საარჩევნო სისტემა (List PR).⁶⁹

იტალია

იტალიის ქვედა, დეპუტატთა პალატაში 2017 წლიდან მოქმედებს 40%-მდე კვოტირება.

კონსტიტუციის თანახმად, ნებისმიერი მოქალაქე უფლებამოსილია, დაიკავოს საჯარო თანამდებობა და არჩევითი პოზიცია თა-

⁶⁴ IDEA, COUNTRY DATA, Spain (Kingdom of Spain), ხელმისაწვდომია: <https://www.idea.int/data-tools/data/gender-quotas/country-view/103/35>, განახლებულია: 03.12.2019.

⁶⁵ Ibid.

⁶⁶ Ibid.

⁶⁷ Freidenvall L., Dahlerup D. Johansson E., p. 15. Table 4.

⁶⁸ Ibid.

⁶⁹ Ibid, p.7

ნაბარი პირობებით. ქვეყანამ უნდა გაატაროს სპეციალური ზომები, რათა ხელი შეუწყოს თანაბარ შესაძლებლობებს ქალებსა და კაცებს შორის.⁷⁰

2017 წლის საარჩევნო კანონი მოიცავს რამდენიმე დებულებას, რომელიც ხელს უწყობს ქალების მონაწილეობას დეპუტატების პალატასა და სენატში. მრავალმანდატიან ოლქებში წარდგენილ სიებში კანდიდატთა რიგითობა განისაზღვრება გენდერული მონაცვლეობით. აქტი აღგენს, რომ დეპუტატების პალატის (ქვედა პალატა) ერთმანდატიან ოლქებში წარდგენილ სიებში რომელიმე სქესის წარმომადგენელთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს კანდიდატთა მთლიანი ოდენობის 60%-ს. ასევე, ეროვნულ დონეზე მრავალმანდატიან ოლქებში წარდგენილ ერთიან სიებში არცერთი სქესის წარმომადგენელს არ უნდა ეკავოს წამყვანი პოზიცია და მისი რიცხვი არ უნდა აღემატებოდეს 60%-ს.

პოლიტიკურმა პარტიებმა შემოწირულების 10% უნდა დახარჯონ ისეთ აქტივობებზე, რომლებიც ხელს შეუწყობს ქალების წარმომადგენლობას პოლიტიკაში.⁷¹

საარჩევნო სიაში კანდიდატთა რიგითობის წესი: სიაში კანდიდატთა რიგითობა განისაზღვრება გენდერული მონაცვლეობით.

საწყისი: დადგენილი არ არის.

საარჩევნო სისტემა: პარალელური საარჩევნო სისტემა. ქვედა პალატაში ერთმანდატიან ოლქებში (FPTP) აირჩევა 232 წევრი, დანარჩენი კი (სულ 398) - პროპორციული საარჩევნო სისტემით მრავალმანდატიან ოლქებში.⁷²

⁷⁰ Ibid.

⁷¹ Ibid.

⁷² Ibid.

ხორვატია

2008 წლიდან ხორვატიაში მოქმედებს 40%-იანი კვოტირება.⁷³

გენდერული თანასწორობის შესახებ 2008 წლის აქტის თანახმად, ერთი სქესი სულ მცირე 40%-ით უნდა იყოს წარმოდგენილი პოლიტიკური და საჯარო გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებში.⁷⁴ პოლიტიკურმა პარტიებმა და სხვა უფლებამოსილმა ორგანიზაციებმა უნდა დაიცვან თანასწორობის პრინციპი საარჩევნო სიების წარდგენისას და უნდა მიაღწიონ ბალანსს ამ წესის მიხედვით.

საარჩევნო სიაში კანდიდატთა რიგითობის წესი: დადგენილი არ არის.

სანქცია: გენდერული თანასწორობის აქტის თანახმად, ხორვატიის პარლამენტის არჩევნებში სანქცია ამ წესის დარღვევისთვის არის ჯარიმა 50, 000.00 HRK-ის ოდენობით⁷⁵ (6 000 ევროზე მეტი). ასევე, დადგენილია ფინანსური სარგებელი პარტიებისთვის (10%) სიაში მეტი ქალის დასახელებისთვის.⁷⁶

ხორვატიის საარჩევნო სისტემა: ერთიანი პროპორციული სისტემა (List PR).⁷⁷

⁷³ IDEA. COUNTRY DATA, Croatia (Republic of Croatia), ხელმისაწვდომია: <https://www.idea.int/data-tools/data/gender-quotas/country-view/124/35>, განახლებულია: 03.12.2019.

⁷⁴ Ibid.

⁷⁵ Ibid.

⁷⁶ Freidenvall L., Dahlerup D. Johansson E., p. 20.

⁷⁷ IDEA. COUNTRY DATA, Croatia (Republic of Croatia).